

## COVID-19 პანდემიის ფინანსური პრობლემები და აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის ასპექტები საქართველოში

### დავით ბიძინაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო  
[davitbidz@gmail.com](mailto:davitbidz@gmail.com)

საკვანძო სიტყვები: კორონავირუსის პანდემია; აუდიტის ხარისხი; აუდიტის დაგეგმვა; რისკები; აუდიტორული ფირმა.

J.E.L. classification: G01; G28.

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2021.21.03>

**ციტირებისთვის:** ბიძინაშვილი დ., (2021) COVID-19 პანდემიის ფინანსური პრობლემები და აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის ასპექტები საქართველოში. ეკონომიკური პროფილი №1(21), გვ. 22–31. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2021.21.03>

**ანოტაცია.** პანდემიით გამოწვეულმა გლობალურმა პროცესებმა აუდიტორულ საქმიანობაზე იქონია გავლენა. განუსაზღვრელობამ და არაპროგნოზირებადმა გარემომ უზუსტობების წარმოქმნის ახალი რისკები წარმოშვა. ასევე უკვე არსებული, ყველასათვის ცნობილი რისკები გააქტიურდა ახლანდელ გარემოში. სიტუაციას ართულებს ის ფაქტი, რომ შესაძლებელია აუდიტორებმა არ გაითვალისწინონ ზემო აღნიშნული რისკები აუდიტის დაგეგმვის პროცესში, ასევე შესაძლებელია რისკების არასწორი კუთხით გათვალისწინება.

ფირმები და სხვა ეკონომიკური დაწესებულებები, რომლებშიც აუდიტი ტარდება, ვალდებული არიან მოერგონ არსებულ ცვალებად გარემოს, რომელშიც ფუნქციონირებს მათი ბიზნესი. სუბიექტები ცვლიან ოპერაციების გატარების წესს,

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესებს, ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებულ ინფორმაციას. ისინი აფასებენ საქმიანობის შენარჩუნების შესაძლებლობებს უახლოესი მომავლისათვის.

### შესავალი

კორონავირუსმა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, უდიდესი გამოწვევის წინაშე დააყენა. პანდემიამ საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, მრავალი პრობლემა შექმნა. COVID 19-თან გამკლავება თითოეული სახელმწიფოს მთავარი პრიორიტეტი გახდა. (მირზიკაშვილი, 2020:4)

საქართველო აგრძელებს რეფორმის გატარებას მრავალი მიმართულებით. მათ შორის ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში. ამ რეფორმათაგან ბევრი გავლენას ახდენს აუდიტორთა ყოველდღიურ საქმიანობაზე, მათ შორის აუდიტორული შემოწმების პროგრამების ჩამოყალიბებაზე. ბუღალტრები და აუდიტორები პროფესიულ ორგანოებზე დამოკიდებულნი არიან, როგორც მიმდინარე რეფორმის შესახებ ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროზე, რომელიც ამ

რეფორმით გამოწვეული გამოწვევების დაძლევაში ეხმარება მათ. (მსოფლიო ბანკი, 2020:11)

### ძირითადი ტექსტი

აუდიტის ხარისხი არსებითად მოიცავს იმ ძირითად ელემენტს, რომლებიც ხელს უწყობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც მუდმივად იქნება ხარისხიანი აუდიტისა ჩატარების შესაძლებლობა.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მთავარი მიზანია, აუდიტორმა მოიპოვოს და შეაფასოს აუდიტორული მტკიცებულებები, რის საფუძველზეც ჩამოაყალიბებს საკუთარ მოსაზრებას და დადებს საბოლოო დასკვნას ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.

2011 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ფუნქციონირება დაიწყო ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა, შეიძლება ითქვას, რომ იგი ერთგვარ გარანტს წარმოადგენს იმისა, რომ აუდიტორული საქმიანობა:

❖ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს;

❖ ხორციელდება საუკეთესოდ აღიარებული აუდიტორული მიდგომებით.

ხარისხის კონტროლის დანერგვა ითვალისწინებს სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც ორ ეტაპს მოიცავს. თითოეული მათგანი მიმართულია აუდიტის საქმიანობის და პროცედურების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმართვის უზრუნველყოფაზე.

პირველი ეტაპი - გულისხმობს, ხარისხის კონტროლს აუდიტის მიმდინარეობისას. იგი საშუალებას გვაძლევს გავაუმჯობესოთ აუდიტის ხარისხი საბოლოო ანგარიშის გამოცემამდე.

მეორე ეტაპი - ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფას დასრულებული აუდიტის

შეფასებით. იგი აუდიტის მიმდინარეობისას წამოჭრილი პრობლემების განზოგადებისა და მეთოდოლოგიის სრულყოფის შესაძლებლობას იძლევა.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სხვადასხვა ტიპები არსებობს. ყველა მათგანში ძირითადი ცვლადი არის სისტემაზე გაწეული ხარჯები. ყოველი ქვეყანა ირჩევს იმ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს სარგებლის მიღებას ხარჯების გათვალისწინებით.

აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვის პროცესში ოთხი ძირითადი ეტაპი გამოიყოფა:

- პირველი ეტაპი: დიაგნოსტიკური მიმოხილვის ჩატარება;
- მეორე ეტაპი: ხედვის ჩამოყალიბება;
- მესამე ეტაპი : სისტემის შემუშავება;
- მეოთხე ეტაპი: სისტემის დანერგვა.

(ADB, 2020:13)

ბოლო ხანებში შემუშავდა სანიმუშო პრაქტიკა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის დამოუკიდებელი რეგულირების სათანადო დონის მისაღწევად. აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის დამოუკიდებელი რეგულირების რამდენიმე გზა არსებობს. ესენია:

• ზედამხედველობა - შესაძლოა განხორციელდეს პროფესიისგან დამოუკიდებელი ორგანიზაციის მიერ. მაგალითად: სახელმწიფო უწყება, არსებული მარეგულირებელი ან სპეციალიზებული მარეგულირებელი ორგანო.

• მარეგულირებელი ორგანოების ჩართულობა გულისხმობს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მართვაში ჩართულნი უნდა იყვნენ სახელმწიფო უწყებების, საბანკო, ფასიანი ქაღალდებისა

და სადაზღვევო სფეროს მარეგულირებელი ორგანოების ან/და სხვა შესაბამისი დამოუკიდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

- აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის ორგანოს ან/და კომიტეტის შემადგენლობაში უპირატესად ისეთი პირები უნდა იყვნენ წარმოდგენილი, რომლებიც არ არიან ბუღალტრები.

- აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფა საზოგადოებრივი დაინტერესების პირების მიერ შესაძლებელია განხორციელდეს ისეთი დანაყოფის საშუალებით, რომელიც დამოუკიდებელია აუდიტორის პროფესიისგან. (ADB, 2020:27)

აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც 2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმდა ასოცირების შესახებ შეთანხმება. განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები და მიღებულ იქნა კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (2016), რომელმაც უზრუნველყო გარკვეული მიღწევები აღნიშნულ სფეროში: დააწესა აუდიტის საჯარო ზედამხედველობა; გააძლიერა აუდიტორების დამოუკიდებლობა და აუდიტის ხარისხის კონტროლი; ასევე ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობა, დაინერგა ბუღალტრული განათლების გაუმჯობესებისა და განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკა.

აუდიტზე შესაძლებელია გავლენა მოახდინოს იმ ცვლილებებმა, რომლებიც განხორციელდა გარემოში, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესში. არსებულმა ვითარებამ აუდიტორებს

საქმე უფრო გაურთულა. მათ მეტი ყურადღება მართებთ თაღლითობის და შეცდომების გააზრებისას, რადგან გაზრდილია თაღლითურად შედგენილი ფინანსური ანგარიშგების შესაძლებლობა.

დღის წესრიგში დადგა ასს-ის გარკვეული სტანდარტების გადასინჯვა და არსებულ გარემოზე მორგება. ცვლილებები შეეხო ასს 315- არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენას და შეფასებას. სტანდარტის გადასინჯული ვარიანტი არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორცაა: COVID-19-ის გავლენით გამოწვეული ახალი ან კორექტირებული რისკების გავლენა აუდიტის ჩატარების დაგეგმილ მიდგომაზე, ასევე უკვე განსაზღვრული რისკების შეფასებების გადახედვა და ცვლილებების გავლენა სუბიექტის შიდა კონტროლის შესახებ აუდიტორის მიერ ადრე შექმნილ წარმოდგენაზე, კონტროლის გარემოს შესახებ და გამოვლენილ არსებითი უზუსტობების რისკებზე რეაგირებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით სუბიექტის კონტროლის მექანიზმებზე დაყრდნობის დონის შეცვლა. (დაშნიანი, 2020:5)

ასს 330 - შეფასებულ რისკებზე რეაგირება, სტანდარტის გადასინჯული ვარიანტი გულისხმობს იმას, რომ შესაძლოა აუცილებელი გახდეს შეფასებულ რისკებზე რეაგირებისთვის დაგეგმილი ღონისძიებების შეცვლა შექმნილი გარემოებების გამო, საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების მიზნით. პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ იზრდება მარაგებთან წვდომა ან მარაგების ინვენტარიზაციის პროცესზე დასწრებას, ის ალბათობა, რის გამოც შეიძლება აუცილებელი გახდეს ალტერნატიული პროცედურების ჩატარება.

სააღრიცხვო შეფასებების აუდიტი - ასს 540 გადასინჯული ვერსია ითვალისწინებს განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებას შემდეგ საკითხებზე:

1. მარეგულირებელი ფაქტორების ცვლილებები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს სააღრიცხვო შეფასებებზე. მაგალითად ცვლილებები, რომლებიც გამიზნულია დროებით პრობლემური დებიტორების დასახმარებლად კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული გარემოებების გათვალისწინებით;

2. შესაფერისია თუ არა გამოყენებული დაშვებები არსებულ გარემოებებში და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნების კონტექსტში;

3. შესაფერისი და საიმედო არის თუ არა სუბიექტის მიერ გამოყენებული მონაცემები;

4. თანდაყოლილი რისკფაქტორების, განსაკუთრებით კი განუსაზღვრელობის ცვლილების გავლენა.

აუდიტორს პასუხისმგებლობა ეკისრება, რომ ანგარიშგების ვადების შეცვლის შედეგად გაიზრდება პერიოდი და შესაბამისი რისკებიც იმ მოვლენებისთვის, რომლებიც მოხდება ფინანსური ანგარიშგების თარიღსა და აუდიტორის დასკვნის თარიღს შორის ინტერვალში. იგი ასევე პასუხისმგებელია ნებისმიერ არსებით შემდგომ გამოვლენილ მოვლენაზე, რომელიც დაკავშირებულია COVID-19-თან და იმის შეფასებაზე, სათანადო ინფორმაცია გამჟღავნდა თუ არა ამ მოვლენის შესახებ ფინანსურ ანგარიშგებაში ასს-ის სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსთან დაკავშირებით (ასს 570, გადასინჯული) გულისხმობს COVID-19-მა არსებითი გავლენა მოახდინა თუ მოსალოდნელია, რომ არსებით

გავლენას მოახდენს აუდიტორის მიერ გამოტანილ დასკვნაზე იმასთან დაკავშირებით, მართებულია თუ არა ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული სუბიექტის ფუნქციონირებადობის სტატუსის შეფასება. ასევე ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობის ან აუდიტორის დასკვნის მოდიფიცირების საკითხის, საჭიროებისამებრ, ხელახლა განხილვა. (დამნიანი, 2020:5)

მოსაზრების ჩამოყალიბებისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ დასკვნის წარდგენის პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ საკითხებზე, რომ შესაძლებელი გახდეს დასკვნის გამოტანა, მათ შორის იმის შესახებ, სათანადოდ იყო თუ არა მოცული აუდიტის ყველა ძირითადი ასპექტი. ყურადღება ასევე უნდა გამახვილდეს COVID-19-ის ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილ ახალ განუსაზღვრელობებზე, მაგალითად, სათანადო ცვლილებები შეტანილია თუ არა სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლებში, მათ შორის გაუფასურების გაანგარიშებებში.

გადასინჯული ასს 720 - სხვა ინფორმაცია აკონტროლებს ნებისმიერ შეუსაბამობას სუბიექტის მიერ წლიურ ანგარიშსა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის, რომელიც ეხება COVID-19-ით გამოწვეული გარემოებების გავლენას.

ცვალებად გარემოში ფუნქციონირებადმა საწარმომ COVID-19-ის გავლენასთან დაკავშირებით აუდიტში უნდა გაითვალისწინოს ისეთი პრიორიტეტული საკითხები, როგორცაა: კოვიდ-19-ის პანდემიის თანმდევი გაურკვევლობები, კოვენანტებთან შესაბამისობა და სხვა ფაქტორები - სექტორი, რეგიონი,

მომხმარებლებისა და მომწოდებლების ფინანსური მდგომარეობა, ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა.

რისკების შეფასების პროცესში უნდა გავითვალისწინოთ, რომ კოვიდ-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალურ ეკონომიკასა და ცალკეული დარგების ბაზრებზე. მან დიდი ზიანი მიაყენა სასტუმროების ბიზნესს, საცალო ვაჭრობას, ტურიზმის და ა.შ.

დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული აუდიტორის დასკვნის შედგენა COVID-19-ის გავლენის შედეგად შექმნილ ცვალებად გარემოში. პრობლემურ საკითხს წარმოადგენს: აუდიტორის მოსაზრების მოდიფიცირება, რომელიც განპირობებულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის არსებობით, ან საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების შეუძლებლობით; სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა; აუდიტორის დასკვნაში „აუდიტის ძირითადი საკითხები“ ნაწილის ან/და „მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის“ დამატება და ასევე გავლენა შუალედური ფინანსური ინფორმაციის შესახებ გაცემულ მიმოხილვის დასკვნაზე, როდესაც ფინანსური ანგარიშგების აუდიტორი იმავდროულად ატარებს შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვასაც.

აუდიტორის მოსაზრების განსამტკიცებლად საჭიროა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, რისთვისაც ხელისშემწეულ ფაქტორებს წარმოადგენს: დისტანციური მუშაობა, ინვენტარიზაციაზე დასწრების შეზღუდვა, შიდა კონტროლის სისტემის შესწავლა და

ალტერნატიული პროცედურების ჩატარება.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება შეეხება განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებულ ინფორმაციასაც. იმ შემთხვევაში, თუ განმარტებით შენიშვნებში ადეკვატურად არ არის ახსნილი და აღწერილი COVID-19-ის პანდემიის გავლენა, აუცილებელია აუდიტორის დასკვნაზე ამგვარი გარემოებების გავლენის განხილვა და გათვალისწინება. ამ ფაქტთან დაკავშირებით შესაძლოა მოსაზრების მოდიფიცირების საჭიროების საკითხიც იყოს განსახილველი.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე გადაისინჯა ყველა ის სტანდარტი, რომელიც შეეხება აუდიტორის დასკვნის მომზადებას.

COVID-19-ის პანდემიის გავლენის შედეგად შეიძლება გაიზარდოს აუდიტორის მოსაზრების მოდიფიცირების გამოწვევი პირობების რიცხვი, რაც განპირობებული იქნება სხვადასხვა გარემოებებით. კერძოდ, აუდიტორი დაადგენს, რომ არსებობს შეუსწორებელი უზუსტობები, რომლებიც ცალ-ცალკე ან ერთობლივად არსებითია მთლიანი ფინანსური ანგარიშგებისთვის; ან/და აუდიტორი დაასკვნის, რომ მათ არ შეუძლიათ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება.

ყველა ის ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენის შედეგად შექმნილი ახალი გარემოებების სამეურნეო სუბიექტზე გავლენის სათანადოდ წარმოსაჩენად არ არის გამჟღავნებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. ამასთანავე, აქტივები და ვალდებულებები მართებულად არ არის აღიარებული და შეფასებული სამეურნეო სუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენის შედეგად შექმნილმა მდგომარეობამ აუდიტის ძირითად საკითხებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჩასატარებელ აუდიტორულ პროცედურებთან დაკავშირებით, რაც გამოვლინდა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გართულებასა და სპეციფიკური მოვლენების ან ოპერაციების განხორციელებაში.

### დასკვნა:

საქართველოში აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

-აუდიტორული მომსახურების სფეროში მოღვაწე პროფესიული ორგანიზაციების მხრიდან აუცილებელია სასწავლო გარემოს გაუმჯობესება, რომ მეტი შეხვედრა და ღონისძიება დაეთმოს მიმდინარე ცვლილებებს ამ სფეროში. დარგში მოღვაწე ადამიანები უფრო ხშირად უნდა ხვდებოდნენ ერთმანეთს და მოსაზრებებს უზიარებდნენ;

-სასურველი იქნება ჩატარდეს დარგობრივი ხასიათის ტრენინგები და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მხრიდან მოხდეს ამ ტრენინგების ფინანსური უზრუნველყოფა;

-სიახლეების მიმართ, აუდიტორთა მეტი ინფორმირებულობის მიზნით, საჭიროა შესაბამისი სამსახურების მხრიდან ამოქმედდეს ცხელი ხაზი;

-კორონავირუსის არსებობის პირობებში, აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციების მხრიდან საჭიროა უფრო მეტი ონლაინ ტრენინგებისა და სემინარების მოწყობა-ჩატარება;

-საჭიროა უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ზედამხედველობის მონიტორინგთან

და უფრო მეტი სიცხადე პროფესიული კონტროლის მექანიზმების ობიექტურობასთან დაკავშირებით;

-სასურველია უწყვეტი განათლების პროგრამა ორიენტირებული იყოს პრაქტიკულ შემთხვევებზე, უფრო მეტ შემთხვევათა შესწავლაზე, რომლებიც დეტალურად უნდა იყოს განიხილული ინტერაქტიულ და არა პასიურ რეჟიმში;

-საჭიროა მცირე აუდიტორულ ფირმებს გაეწიოთ უფრო მეტი დახმარება, რათა მათ შეძლონ ხარისხიანი აუდიტორული მომსახურების გაწევა;

-მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმებმა უნდა შეიმუშავონ სტრატეგია, თუ როგორ გაზარდონ შემოსავლები, არა მხოლოდ აუდიტორული, არამედ სხვა მომსახურებებიდანაც. კერძოდ, «ღრუბლოვანი ტექნოლოგიაზე» დაფუძნებული საკონსულტაციო მომსახურების შეთავაზების უნარი უნდა გამოიმუშაონ;

-პროფესიულმა ორგანიზაციებმა, დონორთა დახმარებით, ხაზი უნდა გაუსვან მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმათა მნიშვნელობას მცირე და საშუალო საწარმოთა წარმატებით განვითარების საქმეში, რასაც ასეთი ფირმები ხელმისაწვდომი და ეფექტიანი ბიზნეს კონსულტაციის მიწოდების გზით ახერხებენ;

-პროფესიულმა ორგანიზაციებმა, დონორთა დახმარებით, მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმებს უნდა მიუთითონ იმ სარგებელზე, რასაც ისინი მიიღებენ სხვა ფირმებთან თანამშრომლობითა და მჭიდრო ურთიერთობის დამყარებით, მათ შორის შერწყმისა და შექმნის (M&A) გზით.

### ლიტერატურა:

1. მირზიკაშვილი ნ., (2020) ჯანდაცვის სისტემის გამოწვევები საქართველოში მუნიციპალურ დონეზე COVID-19 -ის პანდემიის დროს. აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (EECMD), USAID, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC); URL: <https://hu-hu.facebook.com/EECMD/photos/pb.273220522757364.-2207520000.../3525097447569639>; (ხელმისაწვდომია 1.06.2021);
2. საქართველოში ბუღალტერთა და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციების წევრთა გამოკითხვის შედეგები (2020). WORLD BANK GROUP; Funded by European Union; URL: <https://www.saras.gov.ge/Content/files/Georgia%20Auditors%20Survey%20Report%202020%20GEO%20Final.pdf> (ხელმისაწვდომია 1.06.2021);
3. აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფა (2020). აზიის განვითარების ბანკი (ADB); აზიისა და წყნარი ოკეანის ბუღალტერთა კონფედერაცია (CAPA); URL: <https://saras.gov.ge/Content/files/new-xarixsis-uzrunvelyofa.pdf> (ხელმისაწვდომია 1.06.2021);
4. დაშნიანი ლ., (2020) COVID-19 -ის გავლენა აუდიტის პროცედურებზე, EY – Building a better working world. URL: [http://gfpa.ge/site/files/GangrdzobiTi%20scavleba%20sia/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97%E1%83%982020/1.3%20COVID%2019-%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90%20%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%96%E1%83%94.pdf?fbclid=IwAR1YmXmBn3OzInIC-t8Py5qntPT9coymcWW-wV\\_nra6cvI2btys7KeJyyM](http://gfpa.ge/site/files/GangrdzobiTi%20scavleba%20sia/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97%E1%83%982020/1.3%20COVID%2019-%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90%20%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%96%E1%83%94.pdf?fbclid=IwAR1YmXmBn3OzInIC-t8Py5qntPT9coymcWW-wV_nra6cvI2btys7KeJyyM) ხელმისაწვდომია 1.06.2021);
5. ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური. URL: <https://saras.gov.ge/> (ხელმისაწვდომია 1.06.2021);
6. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი). URL: <http://gfpa.ge/site/index.php> (ხელმისაწვდომია 1.06.2021);